



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 ივლისი 2024



N 337/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 28 ივნისის N 334/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

2024 წლის 28 ივნისს, ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) გაცემულია N37 სკოპინგის დასკვნა. დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, N37-ის ნაცვლად, ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს N38 სკოპინგის დასკვნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- „ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 28 ივნისის N 334/ს ბრძანების პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - გაიცეს ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნა N38;
  - სს „რუსთავილი“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N38 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
- ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავილის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
- ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/337-21-4-202407021425>





## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 ივნისი 2024



N 334/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ 1000მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნა N37;
2. სს „რუსთავილი“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N37 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავილის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/334-21-4-202406281750>



## სკოპინგის დასკვნა N38

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ქ. რუსთავში, სს „რუსთავილი“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა)

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „რუსთავილი“ (ს/კ 404508207);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. რუსთავი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 16.05.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „BS Group“.

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, სს „რუსთავილი“ მიერ, წარმოდგენილია ქ. რუსთავში 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის ანგარიში.

2018 წლის 26 ნოემბერს სს „რუსთავილი“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19 560 მ<sup>3</sup> მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-949).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, სს „რუსთავილი“ (ს/კ 404508207) საკუთრებაში არსებულ, 97 621 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.07.02.897). სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 170 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას“, შპს „რუსთავის ფოლადის“, სს „ენერგო პრო ჯორჯიას“, სს „რუსთავის აზოტის“, შპს „სიონის“ ობიექტები.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მოცემულია ინფორმაცია საწარმოს ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, ობიექტის განთავსების ადგილის ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, კომპანია ახდენს ბიტუმის მიღებას, დროებით შენახვას და გაცემას. საწარმოს წარმადობა შეადგენს 180 000 ტ/წ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, **არსებული საწარმოს** სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში შედის: **მაზუთის რეზერვუარი** - 2 ცალი, თითოეული 3000 მ<sup>3</sup> მოცულობის; **გუდრონის რეზერვუარი** - 2 ცალი, თითოეული 100 მ<sup>3</sup> მოცულობის; **პროდუქციის შესანახი რეზერვუარები** სულ 6 ცალი, მათ შორის: 4 ცალი 1000 მ<sup>3</sup> მოცულობის (თითოეული); ერთი ცალი 3000 მ<sup>3</sup> მოცულობის და ერთი

ცალი 2000 მ<sup>3</sup> მოცულობის; გადასამუშავებელ 2 საამქროში ზეთების შუალედური შესანახი რეზერვუარები სულ 12 ცალი, თითოეული 30 მ<sup>3</sup> მოცულობის (180+180=360 მ<sup>3</sup>) და ბიტუმის გასაცემი რეზერვუარი - 4 ცალი, თითოეული 1000 მ<sup>3</sup> მოცულობის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს და განთავსებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარები და ობიექტები კერძოდ: სარკინიგზო და ბიტუმის საავტომობილო ესტაკადები; 1 ცალი ორთქლის და 1 ცალი ზეთის საქვაბე დანადგარი; ბიტუმის გამაცხელებელი დანადგარი; ნარჩენი აირების წვის ღუმელი; საკომპრესორო სადგური; დამხმარე ტექნოლოგიური დანადგარები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საწარმოში დაგეგმილია მაზუთის გადამუშავების ხაზზე დამატებით 4 ცალი ბიტუმის რეზერვუარის(თითოეული 3000 მ<sup>3</sup>), 1 ცალი მაზუთის (1000 მ<sup>3</sup>) და ორი ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში შეყვანა, რაც გულისხმობს, **ნათელი ნავთობპროდუქტების საცავისა (10 000 მ<sup>3</sup> საერთო მოცულობა) და თხევადი გაზის საცავის (4 600 მ<sup>3</sup> საერთო მოცულობით) მოწყობას.** დაგეგმილი ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ალტერნატიულ საწვავად **ნამუშევარი ზეთის გამოყენებას.** გარდა ამისა, ასევე დაგეგმილია სხვა ტექნოლოგიური უბნების მოწყობა, კერძოდ: ორთქლის საქვაბე, თხევადი გაზის მიმღებ/გამცემი, სატუმბი/საკომპრესოროს, რკინიგზის დამატებითი და თხევადი გაზის ავტოცისტერნებში გამცემი ესტაკადა, სახანძრო წყლის 2000 მ<sup>3</sup> მოცულობის ლითონის რეზერვუარის, რეკუპერაციის დანადგარის სადგურის და ნარჩენების შესანახი მოედნის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ბიტუმის წარმოების ხაზზე, გადასამუშავებელი მაზუთის წლიური რაოდენობა იქნება 960 000 ტ, ხოლო გუდრონის 480 000 ტ. მაზუთიდან გუდრონის მიღების პროცესში გუდრონთან ერთად წარმოიქმნება სხვა პროდუქტები. **კერძოდ: ვაკუუმური გაზოილი-დიზელის ფრაქცია - 115 200 ტ; ზეთების ფრაქცია - 364 800 ტ; ბიტუმი - 432 000 (მაზუთი) + 480 000 (გუდრონი) = 912 000 ტ;** საწვავად გამოიყენება ბუნებრივი აირი (60 000 მ<sup>3</sup> დღე-ღამე), ასევე დაგეგმილია საწვავად ნარჩენი ზეთის (300 მ<sup>3</sup> /წელ) გამოყენება. ბუნებრივი აირის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი გაზომარაგების ქსელიდან, ხოლო ნარჩენი ზეთის მომარაგება მოხდება შპს “თეგეტა მოტორსისგან” შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. (ნარჩენი ზეთების კოდები: 13 01 09\*; 13 01 10\*; 13 01 11 \*; 13 02 05 \*; 13 02 06 \*; 13 03 06 \*; R 1 ; საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღის განმავლობაში 8-10 საათი.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს ბიტუმის მიღებას მაზუთიდან და გუდრონიდან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, პროდუქციის გაცემა იწარმოებს, ავტოცისტერნებზე და ვაგონცისტერნებზე. ბიტუმის ჩატვირთვა განხორციელდება ავტოცისტერნებში/ვაგონცისტერნებში ნავთობპროდუქტების გაცემის კვანძებიდან სპეციალური ტუმბოების საშუალებით.

ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში დაგეგმილია შემდეგი დანადგარების გამოყენება: სარექტიფიკაციო კოლონა (1 ც); გუდრონის დამჟანგავი კოლონა (4 ც); თბომცლელეები (16ც); შუალედური საცავი (6 ც); ბიტუმის გაცხელების უბანი - ნარჩენი აირების წვის ღუმელი, წყალსამხეფი მაცივარი; საკომპრესორო; ორთქლის საქვაბე დანადგარი;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, **ნათელი ნავთობპროდუქტების საწარმოო ხაზის** სამუშაო რეჟიმი წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოს ტერიტორიაზე ნათელი ნავთობპროდუქტების ნედლეულის განსათავსებლად დაგეგმილია 7 ცალი (ჯამური მოცულობით - 10 000 მ<sup>3</sup>) ლითონის რეზერვუარის განთავსება, კერძოდ: ბენზინის (4ც, თითოეული- 1 000 მ<sup>3</sup>) და დიზელის (3 ც, თითოეული - 2 000 მ<sup>3</sup>) რეზერვუარი. ნათელი ნავთობპროდუქტების საწარმოო ხაზის რეალიზაციისთვის წლიურად გათვალისწინებულია **ბენზინის- 120 000ტ/წ, დიზელის- 150 000ტ/წ შემოტანა.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე ასევე დაგეგმილია **თხევადი გაზის საცავის მოწყობა**, რისთვისაც გათვალისწინებულია 46 ცალი 100 მ<sup>3</sup> (საერთო მოცულობით 4 600 მ<sup>3</sup>) ფოლადის რეზერვუარის განთავსება. თხევადი გაზის საცავის **წარმადობა შეადგენს 8 000 მ<sup>3</sup>/წ.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე ნავთობპროდუქტების მიღება/გაცემის ოპერაციების განხორციელება გათვალისწინებულია რკინიგზის ვაგონცისტერნებით და ავტოცისტერნებით. ნავთობპროდუქტების შესაბამის რეზერვუარებში განთავსება ხდება სატუმბი სადგურების საშუალებით. საწარმოში დაგეგმილია რეკუპერატორის დანადგარის განთავსება ნახშირწყალბადების ორთქლის წარმოშობის 3 უბანზე, კერძოდ: ფოლადის ვერტიკალურ რეზერვუარებზე; სარკინიგზო ესტაკადაზე; ავტო ესტაკადაზე;

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ობიექტზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება: სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო-სანიაღვრე და სანიაღვრე წყლები. სახანძრო მიზნებისთვის ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია 400 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარი, თუმცა დაგეგმილია დამატებით ერთი რეზერვუარის (მოცულობით 2 000 მ<sup>3</sup>) განთავსება. ობიექტის წყალმომარაგება ხდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან, თუმცა დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის ექსპლუატაციაში მიღება და შემდგომ ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენება. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება დაგეგმილია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში. საწარმოს ტერიტორიაზე ბიტუმის, ნათელი ნავთობპროდუქტების, თხევადი აირების რეზერვუარებიდან და რკინიგზის ესტაკადის ტერიტორიაზე წარმოქმნილ საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლებს აქვს შეგროვების დამოუკიდებელი სისტემა. აღნიშნული წყლები შემდგომი მართვის მიზნით იკრიბება მიწისქვეშ მოწყობილ სალექარში, რომელიც პერიოდულად იწმინდება და ფილტრ-სეპარატორის გავლის შემდგომ ჩაედინება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს. ობიექტზე სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით ობიექტის რეკონსტრუქციის ეტაპზე გათვალისწინებულია ტიპიური სამშენებლო მანქანა მექანიზმების ფუნქციონირება, რომლის მიხედვითაც გამოყენებული იქნება ისეთი ტექნიკა როგორცაა ექსკავატორი, ამწე, თვითმცლელი, შედუღებითი სამუშაოები. და ა.შ.

ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელი იქნება ბენზინის უბნიდან, დიზელის უბნიდან, მაზუთის, ზეთების და ბიტუმის უბნებიდან. ასევე მაზუთის და გუდრონის ნედლეულიდან ბიტუმის მიღების შედეგად გამოყენებული დანადგარებიდან. ნავთობპროდუქტების შენახვა და გაცემის ოპერაციებიდან. წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“-ის გამოყენებით რომლის მიხედვითაც საწარმოდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართ (დაშორების მანძილი 170მ).

უნდა აღინიშნოს რომ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობის შეფასების მიზნით გამოყენებული როგორც მეთოდური მითითებანი, ასევე არც პროგრამული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“-ის მიხედვით განხორციელებული შეფასებითი მონაცემები, რაც საშუალებას მოგვცემს გადაჭარბების შესახებ დასაბუთების საფუძველს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელებას ადგილი ექნება პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების პერიოდში. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციას, ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს: ნავთობპროდუქტების მიმღები და გასაცემი სატუმბო სადგურების ექსპლუატაცია (სულ 20 ტუმბო). წინასწარი გათვლებისას მიღებული შედეგების მიხედვით უახლოეს მოსახლესთან ხმაურის სტაციონარული წყაროების მუშაობის პირობებში ხმაურის დონე მიახლოებულია საქართველოს მთავრობის №398 დადგენილებით მიღებულ ზღვრულ ნორმებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის ტერიტორიიდან 500 მ რადიუსში ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის საწარმოები. განსახილველი საწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე კუმულაციურ ეფექტს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძირითადად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების კუთხით. წარმოდგენილი ინფორმაციით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება ხდება სეპარირებულად. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების სახიფათობის ან/და არასახიფათობის მახასიათებლებიდან გამომდინარე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არსებული მდგომარეობით ანთროპოგენურად სახეცვლილია და ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ნაწილი, რის შესახებაც შემდგომი რეაგირების მიზნით წერილობით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ



ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ.რუსთავის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2024 წლის 7 ივნისს, ქ. რუსთავის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს “რუსთავიილის”, საკონსულტაციო კომპანია შპს „BSGROUP“-ის, არასამთავრობო ორგანიზაციის “გავიგუდეთ”, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა თვითმონიტორინგის წარმოების, რეკუპერაციის დანადგარში არსებული სითხის მართვის და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხებს. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, განმარტებები გააკეთეს შპს „რუსთავიილის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა, ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია ობიექტის ტერიტორიის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური საქმიანობის პროფილის მქონე ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ობიექტის ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტომასალა) და გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, სარეზერვუარო პარკების, ბიტუმის საწარმოს და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების (ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული და დაგეგმილი ობიექტების ცალკე ასახვით), ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- **ფაქტობრივი მდგომარეობით ობიექტზე არსებული და დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა. ნავთობპროდუქტების საცავებისა და ბიტუმის საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მითითებით, (ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის, ბიტუმის წარმოების, გაცემის ოპერაციების თანმიმდევრული აღწერითა და წარმადობების მითითებით);**
- ობიექტის ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და გაცემის შესახებ (სატრანსპორტო/სარკინიგზო) დეტალური ინფორმაცია (სამომრავო მარშრუტების, ტრანსპორტირების სქემისა და ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის გეგმა-გრადიენტის მითითებით). ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ნავთობპროდუქტების სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე მშრალ ამინდებში საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების (წარმოქმნის წყაროების მითითებით) რაოდენობისა და მართვის შესახებ (მათ შორის, ინფორმაცია წყლის შემადგენლობის შესახებ, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ, ასევე წყლების

შეკრებისთვის და შესაბამის გამწმენდ სისტემაში მიწოდებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის შესახებ, სქემატურ ნახაზზე ასახვით);

- არსებული და საპროექტო რეზერვუარების დასუფთავების ტექნოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია; გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას რეზერვუარებისა და მილსადენების დაზიანების შემთხვევაში საწვავის დაღვრის დროს განსახორციელებელი რეაგირებისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ, ავარიაზე (ხანძარი, ავარიული დაღვრა) რეაგირებისთვის საჭირო საშუალებების/აღჭურვილობის ჩამონათვალს, საწარმოს გენ. გეგმასა და საევაკუაციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, ავარიის დროს გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე (ნიადაგი, ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები) მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას, ამასთან, ავარიის კონკრეტული სახეობები და შესაბამისი მასშტაბები/დონეები უნდა იყოს უფრო დეტალურად განხილული გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე (ნიადაგი, ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები) ზემოქმედების კუთხით.
- სარეზერვუარო პარკებში შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების (ბენზინის, დიზელის, ბიტუმის, საავიაციო საწვავის) მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა; ასევე, ტექნოლოგიური მილგაყვანილობის ან/და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვის საკითხები. დეტალური ინფორმაცია სარეზერვუარო პარკებიდან დასხვა უბნებიდან შესაძლო დაღვრილი ნავთობპროდუქტის მოცულობის შეკავების შესახებ (სარეზერვუარო პარკების ტერიტორიის სითხეგაუმტარი ფენით დაფარვის საკითხები, სარეზერვუარო პარკების შემოზვინვის დეტალური დახასიათება, რომლის პარამეტრები და შიდა სასარგებლო მოცულობა გაანგარიშებული უნდა იყოს ნავთობპროდუქტები ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის);
- დეტალური ინფორმაცია ობიექტზე (მათ შორის, გამწმენდ/ნავთობდამჭერ მოწყობილობებში, რეზერვუარებში დაგროვილი ნავთობშლამების) წარმოქმნილი ნავთობშლამების შესახებ, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების მითითებით. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია ნავთობშლამების დროებითი დასაწყობების ადგილის, პირობებისა და ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ნავთობდამჭერი/ნავთობსეპარატორი ნაგებობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, საპასპორტო მონაცემებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;
- ინფორმაცია აირგამწმენდი სისტემის შესახებ (აირგამწმენდი სისტემის შესაბამისი საპასპორტო მონაცემების და ეფექტურობის მითითებით), მათ შორის ინფორმაცია ობიექტზე რეკუპერაციის სისტემის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება/პრევენციული ღონისძიებების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია ობიექტის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების

მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნების შესაბამისად;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობის (მათ შორის ადგილობრივების წილის), ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, დასახლებული პუნქტის მხარეს გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- **ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
  - მშენებლობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, უახლოესი დასახლებული ობიექტის მიმართ.
  - ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის შეფასება თითოეული დამაბინძურებელი სტაციონარული წყაროდან, რომელთა მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობები განსაზღვრული და დადგენილი იქნება უახლოეს მოსახლესთან.
  - 500 მეტრიან რადიუსში არსებული ყველა მიმდებარე საწარმოს გათვალისწინება კუმულაციური ზემოქმედების სახით, ატმოსფერული ჰაერის შეფასების მიზნით.
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები (საწვავის მიღების/გაცემის დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებები);
  - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი, პერიოდულობისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის სიხშირის მითითებით; მონიტორინგის გეგმაში ასევე უნდა აისახოს „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით გათვალისწინებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა

ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები.

- წარმოდგენილი უნდა იქნეს ხმაურის გაანგარიშება/მოდელირება, გამოყენებული მეთოდის/ფორმულის მითითებით, ასევე გაანგარიშების შედეგად გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ხმაურწარმომქმნელი ობიექტების ხმაურის დონეები, ასევე გარემო ფაქტორები რაც მოქმედებს ხმაურის გავრცელების დონეებზე (ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰიფსომეტრიული და სხვა ბარიერები). იმ შემთხვევაში, თუ გაანგარიშების შედეგად დადგინდება, რომ ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან აჭარბებს საქართველოს მთავრობის დადგენილება 2017 წლის 15 აგვისტო №398 დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტს - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ, წარმოდგენილი უნდა იქნეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი დასაბუთებით;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მეტრიანი რადიუსის საზღვრებში) არსებული და დაგეგმილი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ასევე ხმაურისა და სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედებების ნაწილში). ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;

- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

## 6. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში სტრუქტურულად გაუმართავია, ასევე მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს, ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს, არარელევანტურ და უსარგებლო ინფორმაციებს.
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქ. რუსთავში (ს/კ:02.07.02.897), 100 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა- ექსპლუატაციას და ნარჩენების აღდგენას. აღნიშნულ ტერიტორიაზე „სს „რუსთავოილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19560 მ<sup>3</sup> მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ 2018 წელს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-949). ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, სკოპინგის ანგარიშში დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად, ცალკე ქვეთავში, მკაფიოდ უნდა იქნეს აღწერილი ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებული/საპროექტო (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული და საპროექტო) ობიექტები;
- სკოპინგის ანგარიშში ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციაა წარმოდგენილი საწარმოს ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოცულობებისა და რაოდენობების შესახებ, კერძოდ, გვ. 11-ზე მითითებული ინფორმაცია რეზერვუარების (მაზუთის, შუალედური ზეთების, გუდრონისა და ბიტუმის რეზერვუარები) რაოდენობები და მოცულობები შესაბამისობაში არ არის გვ. 27 ექსპლიკაცია 4.3 ის აღწერილობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავების მოცულობებისა და რაოდენობების (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული, ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული და საპროექტო რეზერვუარები) შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის სახელწოდებაა „100 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი აირის მიწისზედა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია, ნარჩენების აღდგენა“, ვინაიდან, 2018 წლის 26 ნოემბრის 2-949 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სს „რუსთავოილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19 560 მ<sup>3</sup> მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, ხოლო აღნიშნული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის საფუძველს წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება,

საჭიროა გზშ-ის ეტაპზე, წარმოდგენილ იქნას პროექტის დაკორექტირებული სახელწოდება.

- საჭიროა წარმოდგენილ იქნას მიწისქვეშა წყლით სარგებლობის მიზნით შესაბამისი ლიცენზიის თაობაზე ინფორმაცია.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ;
- **სარკინიგზო ხაზით ნავთობპროდუქტების მიღება/გაცემის ოპერაციების განხორციელების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;**
- shp ფაილები შეიცავს ხარვეზებს და მასზე დატანილი ინფორმაცია არ იდენტიფიცირება. shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს „WGS 1984 - UTM Zone 38N“ პროექციით;
- წარმოდგენილ უნდა იქნას ნარჩენი ზეთების მომარაგების საკითხზე შპს „თეგეტა მოტორსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;”.
- **გვ.6 ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები არასწორია და საჭიროებს დაზუსტებას.**
- **გვ. 11 ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული ობიექტები, საწარმოში განთავსებულია გუდრონის რეზერვუარი - 2 ცალი, თითოეული 100 მ<sup>3</sup> მოცულობის, თუმცა გვ. 27 ექსპლიკაცია 4.3 -ში მითითებული არ არის აღნიშნული რეზერვუარი.**
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში სარეზერვუარო პარკი მოცულობა.
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ჭაბურღილის სალიცენზიო პირობების შესახებ, მოსაპოვებელი წყლის რაოდენობისა და ჭაბურღილის პარამეტრების მითითებით;
- იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია სს „რუსთავოილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19 560 მ<sup>3</sup> მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის 2018 წლის 26 ნოემბრის 2-949 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშში.
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის

წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „რუსთავოილის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, სს „რუსთავოილის“ 1000 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე** სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების დაცვით.